# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

## №1

ქ. ქუთაისი

21 ოქტომბერი 2014 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| ნოდარ მიქიაშვილი | – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე. |
| კონსტანტინე ქავთარაძე | – ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. |
| ირაკლი ავალიანი | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი. |
| ირაკლი გიორგაძე | – ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი. |

**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი :** კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ზ. გამსახურდიას ქუჩის მე-3 ჩიხის, ძნელაძის ქუჩის მე-2 და მე-4 ჩიხების და ძნელაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, სოლომონ მეორეს ქუჩისა და წმინდა სამების დამაკავშირებელი, სოლომონ მეორეს ქუჩის მე-2 ჩიხის და მე-4 შესახვევის, დეპოს ქუჩის №2, 4, 6, 8, 10, ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევის, ბაგრატის ტაძრის ჭიშკრიდან ქეთევან წამებულის ქუჩამდე და ნინოშვილის ქუჩის მე-16 შესახვევის გზების ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი) შედგენის შესახებ.

**მოისმინეს:** საკონკურსო კომისიის წევრმა ირაკლი ავალიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგთან დაკავშირებით – ქალაქ ქუთაისში ზ. გამსახურდიას ქუჩის მე-3 ჩიხის, ძნელაძის ქუჩის მე-2 და მე-4 ჩიხების და ძნელაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, სოლომონ მეორეს ქუჩისა და წმინდა სამების დამაკავშირებელი, სოლომონ მეორეს ქუჩის მე-2 ჩიხის და მე-4 შესახვევის, დეპოს ქუჩის №2, 4, 6, 8, 10, ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევის, ბაგრატის ტაძრის ჭიშკრიდან ქეთევან წამებულის ქუჩამდე და ნინოშვილის ქუჩის მე-16 შესახვევის გზების ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (საკონკურსო წინადადების თანხა 30000 (ოცდაათი ათასი) ლარი) შედგენის პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ: ნოდარ მიქიაშვილმა.
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კონსტანტინე ქავთარაძემ.
კომისიის წევრმა: ირაკლი გიორგაძემ.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მიერ ქალაქ ქუთაისში ზ. გამსახურდიას ქუჩის მე-3 ჩიხის, ძნელაძის ქუჩის მე-2 და მე-4 ჩიხების და ძნელაძის ქუჩის მე-2 შესახვევის, სოლომონ მეორეს ქუჩისა და წმინდა სამების დამაკავშირებელი, სოლომონ მეორეს ქუჩის მე-2 ჩიხის და მე-4 შესახვევის, დეპოს ქუჩის №2, 4, 6, 8, 10, ახალგაზრდობის გამზირის მე-9 შესახვევის, ბაგრატის ტაძრის ჭიშკრიდან ქეთევან წამებულის ქუჩამდე და ნინოშვილის ქუჩის მე-16 შესახვევის გზების ბეტონის საფარით და ღვარსადენი ქსელის მოწყობის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის წარმოდგენილი განცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტი.

2. კონკურსი ჩატარდეს 2014 წლის 27 ოქტომბერს 12:00 საათზე.

3. საკონკურსო წინადადებების მიღების ვადათ განისაზღვროს 2014 წლის 27 ოქტომბრის 10:00 საათიდან 12:00 საათამდე პერიოდი.

4. საკონკურსო წინადადებების მიღების ადგილად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახური (მის: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3, მე–3 სართული, ოთახი №323).

5. საკონკურსო განცხადება (თანდართული დოკუმენტებით) გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ნოდარ მიქიაშვილი

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კონსტანტინე ქავთარაძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ავალიანი

ირაკლი გიორგაძე